საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნიკოლოზ მარსაგიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 19.07.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 19 ივლისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნიკოლოზ მარსაგიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ნიკოლოზ მარსაგიშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე -

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია*:

ხელმოწერა:

2.1.1. „კანდიდატი" 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 15 წელი და 7 თვე. კერძოდ:

- 1999-2003 წლები, დუშეთის რაიონული პროკურატურის გამომძიებელი;

- 2003-2004 წლები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი;

- 2004-2005 წლები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი;

- 2005 წელი, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი;

- 2005-2006 წლები, დუშეთის რაიონული პროკურორი;

- 2006-2007 წლები, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა, განყოფილების პროკურორი;

- 2007-2008 წლები, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი;

- 2008-2017 წლები, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და, ამავე დროს, დაკისრებული ჰქონდა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ. 2017 წლის მაისიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით ასევე იყო გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/63 გადაწყვეტილებით, ამავე წლის 3 ივნისიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, თანამდებობაზე დაინიშნა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/131 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 24 ივნისიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ;

- 2019-2020 წლები, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;

ხელმოწერა:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის განკარგულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ;

- 2020 წლის 18 მარტიდან 2024 წლის 18 მარტამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხოლო 2020 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 18 მარტამდე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

- 2024 წლის 24 მარტიდან, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ახალი ვადით არჩეულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და მდივნის თანამდებობაზე.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ „კანდიდატის" სამართლიანობის გრძნობას, მაღალ მორალურ და ზნეობრივ თვისებებს, კეთილსინდისიერებას, გულისხმიერებასა და კოლეგიალურობას. რეკომენდატორები არ უთითებენ „კანდიდატის" სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. გამოკითხული რესპონდენტები „კანდიდატის" პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები „კანდიდატს" აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი სამოსამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის საქმიანობის თაობაზე. „კანდიდატი" სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. „კანდიდატის" სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გუდაური, 400 კვ.მ; მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჩხოტი, 835 კვ.მ; ავტოფარეხი - თბილისი, 19,5 კვ.მ. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. 2021-2024 წლებში, „კანდიდატს" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი არ უფიქსირდება.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის" მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ხელმოწერა:

2.1.7. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში „კანდიდატი" ნიკოლოზ მარსაგიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის" მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მითითებულ პერიოდში მასზე საქმეების განაწილება არ მომხდარა.

2.1.8. „კანდიდატმა" წარმოადგინა მის მიერ განხილულ, 5 საქმეზე გამოტანილი განაჩენი.

2.1.9. ,,კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; ტრენინგი - „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები"; სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა; სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა და ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატს" 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი" იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.12. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.1.13. „კანდიდატი" 2008 წლის 28 მაისს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის" პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის

ხელმოწერა:

(სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია";

ე) „ფინანსური ვალდებულება".

3.2. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. ამასთან, „კანდიდატის" მიერ წარმოდგენილ განაჩენთა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს" გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს" გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი" წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის" მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია.

ხელმოწერა:

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მეხეჯერული უნარ-ჩვევებით. საქმეს ეკიდება ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში „კანდიდატი“ ნიკოლოზ მარსაგიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მითითებულ პერიოდში მასზე საქმეების განაწილება არ მომხდარა. „კანდიდატი“ ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის (სამსახურში მიღების) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ, ამზადებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს და ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „კანდიდატი“ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/ წინადადებებს.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი ნიკოლოზ მარსაგიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 93 ქულით.

ხელმოწერა:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 19;

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19;

3. წერის უნარი - 18;

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14;

5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) – 14;

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4;

7. პროფესიული აქტივობა - 5.

ვასილ მშვენიერაძე

ხელმოწერა: